საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030108111289617

№ 01-241/ბ

08 / სექტემბერი / **2017** წ.

ზაზა სოფრომაძის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლისა და 66-ე მუხლის შესაბამისად, ყაზახეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ასტანაში საპენსიო და სოციალური ფონდების საერთაშორისო ასოციაციის მიერ დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციაზე (თემაზე: საპენსიო უზრუნველყოფის სისტემების ფინანსური სტაბილურობა გლობალური რეალობის პირობებში) მონაწილეობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2017 წლის 19 სექტემბრიდან 2017 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით (ოთხი დღის ვადით) ყაზახეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ასტანაში მივლინებულ იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი - ზაზა სოფრომაძე.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

3. დაევალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აანაზღაუროს მგზავრობის (ავიაბილეთები) ხარჯები და სადღეღამისო ნორმის დანამატი.

საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას 2017 წლის 7 სექტემბრის №01-19521 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი

დავით სერგეენკო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030195587214717

№ 01-244/მ

11 / სექტემბერი / **2017** წ.

,,ზაზა სოფრომაძის მივლინების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2017** წლის **8** სექტემბრის **№01-241**/მ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ზაზა სოფრომაძის მივლინების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 8 სექტემბრის №01-241/მ ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები:

ა) ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს მიმწვევი მხარე.".

ბ) ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. დაევალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აანაზღაუროს სადღეღამისო, მგზავრობისათვის (ავია-ბილეთები) გაწეული ხარჯები და სადღეღამისო ნორმის დანამატი.".

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის მარიანა მკურნალის 2017 წლის 11 სექტემბრის №01-19693 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ზ. სოფრომაძე

ზაზა სოფრომაძე